

მოამბე

შაბათი, მაისის 14.

1921 წ.

წელიწადი
პირველი

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 5 უთველ კვირეული ორგანო. № 5

რედაქციის მისამართი:

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა, ევანგელაფის ქ. № 1.
(უფო, კადეტთა კარხუისის შენობა) ტელეფონი № 6-90.

სარედაქციო საქმეებზედ მალაზარაკება შეიძლება უთ-
ველ დღე—სადამის 5-დან 7 საათამდე.

რედაქციის საგან

რედაქცია მიუჩნდება ყველა ადგილობრივ რუ-
კობებსა და ორგანიზაციებს, მთავრდონ „მთაბჭ“-
ში დასაბუქდათ მუსაფრისი მასალა და ცნობები.
„მთაბჭ“-ში გასსნილია კითხვა-პასუხის განყო-

ფილება იმ სავითხების შესახებ, რომლებიც აინტე-
რესებს რეკომებს და სხვა ორგანიზაციებს. მიღე-
ბულ შეკითხვებზე რედაქცია დაუყოვნებლივ
გასცემს პასუხს.

ოფიციალური განყოფილება

დ ე კ რ ე ს ი № 29*).

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტისა
უცხო ქვეშევრდომების მიერ საქართველოს მოქალაქის
უფლებების მოპოვების შესახებ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რეს-
პუბლიკის მოქალაქის უფლებების მოპოვება უცხო
ქვეშევრდომების მიერ განისაზღვრება შემდეგი პი-
რობებით:

1. ყვილა უცხო ქვეშევრდომს, რომელიც
სცხოვრობს საქართველოს სოციალისტური საბჭო-
თა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შეუძლიან მოი-
პოვოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის
უფლება, რისთვისაც მან უნდა წერილობითი გან-
ცხადება წარუდგინოს სათანადო, თავის საცხოვ-
რებელი ადგილის, რევოლუციონურ კომიტეტს.
განცხადებაში უნდა აღნიშნოს მისი წლოვანება,
ოჯახური და ქ-ნებრივი მდგომარეობა, ხელობა
და აგრეთვე პაუხისგებაში ხომ არ ყოფილა იგი
მიცემული საერთო სისხლის სამართლის დანაშაუ-
ლისათვის და, თუ ყოფილა, როდის ან რანაირი
მოქმედების გამო.



2. განმცხადებლის პირობება, უკითუ არ
ექნება მას საჭირო დამატკივილები საბოთიბი,
უნდა შემოწმებულ იქნის საქართველოს საბჭოთა
სოციალისტური რესპუბლიკის სრულუფლებიან
მოქალაქეთა მიერ.

შენიშვნა: საქართველოს რესპუბლიკის
მოქალაქის უფლებების მოპოვების მიზნით,
განზრახ ყალბი ცნობების წარდგინ-სათვის
დამნაშაფნი სისხლის სამართლის პასუხისგე-
ბაში მიიცემიან, როგორც ყალბი ჩენების მიმ-
ცემნი, და მოპოვებული უფლებები მათ შეიძ-
ლება ჩამოერთათ.

3. უკითუ განცხადებაში აღნიშნული პირი
საესებით აკმაყოფილებს წინა მუხლები მოთხო-
ნილობათ, ადგილობრივი რევოლუციონური კო-
მიტეტი აძლევს მას სათანადო მოწმობას, დაწესე-
ბული ბიჭდის დასმით, დამატკივილს იმ სა,
რომ მას მოპოვებული აქვს საქართველოს საბჭოთა
სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქის უფლე-
ბები.

4. განსაკუთრიბოლ შიობნებაში საქართვე-
ლოს რესპუბლიკის მოქალაქეებელ შეიძლება მიღე-
ბული იქნან ის უცხო ქვეშევრდომნი, რომელიც
რესპუბლიკის ფარგში სცხოვრობენ. ასეთმა პირებმა
თაიანთი განცხადებანი უნდა აწიონ უმუ-
ხლოთ, ან დასაბუქდათ სოციალისტური სახლდარ-

* დეკრეტი № 28 დაიბეჭდება „მოამბის“ შემდეგ
№-ში.



გარეთის ახლოდელი დიპლომატიური წარმომადგენლის შექმნა, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომლის განკარგულებითაც სწარმოებს საქართველოს მოქალაქეებს მიმართული უცხო ქვეყნებში პირების აღრიცხვა, მათი სივრცის საყოველთაოდ გამოქვეყნება და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის საშუალებით ამის შესახებ ცნობის გაზიარება იმ უცხო სახელმწიფოებისათვის, რომელთა მოქალაქეებად ითვლებოდნენ ისინი წინათ.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავჯდომარე ფ. მახარაძე
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის
ბ. კვიციანი
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი
შ. გაბრიჩიძე

1921 წ. აპრილის 6. ქ. ტფილის —სასახლე.

დაკრები № 37.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა (დებულება მუშათა და გლეხთა ინსპექციის შესახებ).

საქართველოს ყოფილი დემოკრატიული სახელმწიფოს დაწესებულებათა კონტროლის გამწევი ორგანო იყო „სახელმწიფო კონტროლი“, რომლის მოღვაწეობა სწარმოებდა ფორმალურ ზედამხედველობის ვიწრო ფარგლებში, რის გამოც სახელმწიფო წესწყობილების შეკვლასთან ერთად, უკვე მიუღებელია ძველი წესი სარევიზიო საქმის წარმოებისა.

ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი საქიროდ სცნობს განაახლოს და გარდაქმნას ყოფილი სახელმწიფო კონტროლი, შეიყვანოს მასში ახალი ძალები, მუშათა და გლეხთა სახით, საკონტროლო სარევიზიო ორგანიზაციებიდან, განუმარტოს მათ ახალი დანიშნულება ნამდვილი ფაქტიური კონტროლისა, ჩააბას ამ მუშაობაში მუშათა და გლეხთა ფართე წრეები, რომ ამ გზით, ყოფილი სახელმწიფო კონტროლი, ფორმალური კონტროლის ორგანოს ნაცვლად, გადაიქცეს სოციალისტურ ნამდვილ სახალხო ორგანოდ, რომელიც სოციალისტურ აღმშენებლობის გამოცდილებას დააკრავს და იზრუნებს საბჭოთა ხელისუფლების მუმი გაუმჯობესებაზე.

ამ მიზნით ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. გარდაქმნას ყოფილი სახელმწიფო კონტროლი, როგორც ცენტრალური ისე ადგილობრივი, სოციალისტურ ერთ მთლიან ორგანოდ იმ საფუძველზე, რომ ყოფილი სახელმწიფო კონტროლის ორგანოებში მიწვეულ იქნენ მუშები და გლეხები და იწოდოს ამ ორგანოს „მუშათა და გლეხთა ინსპექცია“.

2. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ინსტიტუტის სახალხო კომისარიატს ყოველგვარად უფლებამოსილება, სათავეში მას უდგას სახალხო კომისარიატი, რომლის თავმჯდომარეობით არსდება კოლეგია ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის მიერ დამტკიცებული წევრებით.

მუშათა და გლეხთა ადგილობრივი ინსპექციის კოლეგიებს იჩვენენ საერთო წესით. ადგილობრივი რევიზიები, მხოლოდ გააგეს აქტი იყოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი.

შენიშვნა: აქვე უწყებებთან, ორგანიზაციებთან და წარმოებებთან არსებული საკონტროლო სარევიზიო ყველა ორგანო, თუ ასეთი არსებობენ, გადაირიგოს მოშათა და გლეხთა ინსპექციის უწყებაში და გადაიქმნას ინსპექციის ახალ დანიშნულების მიხედვით.

3. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ვიდეობა:

ა) უშუალო ფაქტი რა კონტროლი, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრალურ ხელისუფლების დიკრატთა და დირიგირებათა სწრაფ მტკიცე და მიზანშეწონილ განხორციელებას მეურნეობის და მართვა-გამგეობის ყოველ დარგში.

ბ) ყოფილი სახელმწიფო კონტროლის ყოველს მხრივი რეორგანიზაცია, მშრომელთა თართო მასის სამოქმედოდ მიწვივით, რათა მან განახორციელოს სახელმწიფო მართვა-გამგეობის, მეურნეობის და საზოგადოებრივ ყველა დაწესებულებაში ნამდვილი კონტროლი.


გ) ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და საქმის გაქიანურებასთან საბჭოთა ყველა დაწესებულებაში.

დ) მოძრაი რევიზიის შემოღებით გამოიგრება ფაქტიური კონტროლისა და გამოკვლევა საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, როგორც მართვა-გამგეობის, ისე სამეურნეო დარგში.

ე) მეთვალყურეობა როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ საბჭოთა ხელისუფლების დიკრატთა და დადგენილებათა ცხოვრებაში მტკიცე აკრატებისა, და თანამედროვე პირობებში, მათი მიზანშეწონილ შეფარება-შეგუებისა და განხილვა საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოთა მოქმედებასა, მათი მიზანშეწონილობის, ან ცხოვებაში მიღწეულ შედეგების თვალსაზრისის მიხედვით.

ვ) ყველა დაწესებულებაში ყოველგვარ საჩივართა და განცხადებათა მიმღებ ორგანოს შექმნა და მეთვალყურეობა მათში საქმის წარმოების წისიერად მსგელოლობისათვის. აგრეთვე მუშათა და გლეხთა ინსპექციის დავეალოს თერთ ინსპექციაში მოაწყოს ბიურო, სადაც უნდა მიიღებუო იქნას განცხადებანი თანაქმედობის პირთაგან ჩადენილ უკანონო აქციების, ბოროტმოქმედების და კანონთა დარღვევის შესახებ.

ზ) ცენტრალურ და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის განსახილველად წარდგენა თავის გამოცდილებით და გიოკვლევით შექმნილ-შემუშამებულ კონკრეტულ წინადადებათა, —საბჭოთა ხელისუფლებას აპარატის განსამარტიველად, მუშაობაში პარალელიზმის ასაცილებლად, უყარათო-



ბისა და კანცელარიულ ვაჭიანურების მოსასპობად და აგრეთვე სახელმწიფო აღმშენებლობის ამა თუ იმ დარგში მთელი მართვა-გამგეობის სისტემის გარდასაქმნელად.

4. მუშათა და გლეხთა ინსპექცია მოვალეა გარეწრობისა და დანაშაულისათვის სამართალში მისცეს თანამდებობის პირნი და სათანადო ხელისუფლებისაგან მოითხოვოს თანამდებობიდან ამ პირთა გადაყენება.

5. მიწლობილ მოვალეობათა აღსასრულებლად, მას უფლება აქვს სათანადო ხმით მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ყველა თათბირსა და სხდომებში, როგორც სარევიზიო, ისე საქმის გაცნობის მიზნით და აგრეთვე უფლება აქვს მუშათა და გლეხთა ინსპექციის წევრები, როგორც პრაქტიკანტები, გაგზავნოს მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა ყოველგვარ დაწესებულებათა ყოველდღიურ მუშაობაში; მუშათა და გლეხთა ინსპექციის წევრებს უფლება აქვთ დაესწონ სახალხო კომისარიატის თანამშრომელთა და მნახველთა მიღების დროს. მუშათა და გლეხთა ინსპექციას, საზოგადოდ, აქვს ყველა ის უფლება, რაცა ჰქონდა მინიჭებული ყოფილ სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს.

6. მუშათა და გლეხთა ინსპექციას ევალება გამოიძუშალოს ერთგვარი წესი იმის გასაგებად, თუ სინამდვილეში რამდენად ხორციელდება მუშების და გლეხების მონაწილეობა ინსპექციაში, აგრეთვე იმის გასაგებად, თუ რამდენად ნაყოფიერია მათი მონაწილეობა ამ საქმეში სახელმწიფო მართვა-გამგეობის შესწავლის მხრივ.

7. მუშათა და გლეხთა ინსპექციის წევრად შეიძლება იყოს ყოველი მშრომელი, რომელსაც კი საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალით არჩევის უფლება ექნება; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ დედაკაცები იქნენ ჩამბულნი ინსპექციის მუშაობაში.

შენიშვნა: ის პირნი, რომელთაც წარმოებათა მართვა-გამგეობაში პასუხსაგებ ანუ უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებებანი უჭირავთ, არ უნდა იყვნენ არჩეული ინსპექციის წევრებად.

8. მუშათა და გლეხთა ინსპექციის წევრთა რიცხვი განსაზღვრული არ არის; მის შემადგენლობას მოძრაივ ხასიათი უნდა ჰქონდეს და წევრთა არჩევა იმ ანგარიშით უნდა ხდებოდეს, რომ ამა თუ იმ დაწესებულების ანუ წარმოების ყველა მუშა და გლეხი თანდათანობით ჩამბულ იქმნას ინსპექციის მუშაობაში.

შენიშვნა: მუშების ინსპექციაში მონაწილეობამ არ უნდა შეასუსტოს წარმოების მუშაობის ნაყოფიერება და წარმოების ინტერესები საფრთხით უნდა იქმნას დაცული. ამ პასუხის მგებლობა ევალებათ ქარხანა-ფაბრიკების კომიტეტებს.

9. მუშათა და გლეხთა ინსპექციის წევრების არჩევნები ხდება ფაბრიკებში, ქარხნებში, წარმოებებში და სხვა. ხოლო თემებში და წვრილ სოფლებში — ამომრჩეველთა სათემო და სასოფლო ყრილობებზე და უპარტიო მუშა-გლეხთა კონფერენციებზე.

შენიშვნა 1: დაწვრილებითი ინსტრუქციამუშათა და გლეხთა ინსპექციაში გლეხების მონაწილეობის შესახებ გამომუშავდება მუშათა და გლეხთა ინსპექციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების ურთიერთ შორის შეთანხმებით.

შენიშვნა 2: კანდიდატებად შეიძლება იყვნენ არა მარტო იმ წარმოების მუშები, სადაც ხდება არჩევნები, სხვა წარმოებათა მუშებიც და აგრეთვე ის წარმომადგენლებიც, რომელთაც წამოაყენებს ამომრჩეველთა თვით საერთო კრება.

10. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნილი განიყოფებიან: მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუდმივ თანამშრომლებათ; ფაქტიურ კონტროლიორებათ, რომელნიც სახალხო კომისარიატის ამა თუ იმ დეპარტამენტის ასრულებენ; ცენტრში და ადგილობრივ განყოფილებათა გამგეთ, — რომელნიც დამოუკიდებლად აწარმოებენ გამოკვლევას; პრაქტიკანტებათ, რომელნიც იხილავენ და თვალყურს ადევნიენ საბჭოთა დაწესებულებებში მუშაობის მსვლელობას, განსაკუთრებით — საზოგადოებრივ სასაბუღალტრო აბანოებში და სხვა; და — აგრეთვე მუშა გლეხთა ინსპექციის დამხმარე ჯგუფად.

11. ფაბრიკა-ქარხნებში, სახელოსნოებში და სოფლად უნდა მოეწყოს „ძირითადი ჯგუფები“ (იაჩეიკები) მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის ხელის შესაწყობად.

12. საბჭოთა ხელისუფლების ცენტრ ლორ ორგანოებში მუშათა და გლეხთა მონაწილეობის მისაღებად ინსპექციას ევალება გამოიმუშავოს განსაკუთრებული ინსტრუქცია მანრებისა, თემებიდან და, საერთოდ ადგილებიდან მათ გამოსაწვევად.

13. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში საქმეობად მივლინებული წევრნი, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ. მოვალენი არიან უიჯველად თვითონ ერთხელ მაინც წარუდგინონ სტყვიერი ანუ წერალობითი ანგარიში თავის ამომრჩეველთა ყრილობას.

14. პროფესიონალურ კავშირთ უფლება აქვთ წარუდგინონ მუშათა და გლეხთა ინსპექციას დასაბოთებული განცხადება, რომ ამა თუ იმ მიხეზისა გამო უკანვე გაწვეულ იქმნენ ინსპექციაში გაგზავნილი კანდიდატები, ანუ შეცვლილ იქმნენ ისინი სხვა პირებით.

15. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში ყველა დროებით მივლინებულთ ენახებათ თავისი თანამდებობა, საშუალო ხელფასი და უპირატესობანი იმ დაწესებულებისა ანუ წარმოებისა, საიდანც ისინი გაგზავნილი იყვნენ.

შენიშვნა 1: გასამრჯელოს გაცემის წესებს იმუშავებს მუშათა და გლეხთა ინსპექცია შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

შენიშვნა 2: მუშათა და გლეხთა ინსპექციაში მომუშავეთათვის დღიური მიცემის წესი ხოლო გლეხთათვის, აგრეთვე ჯამაგირების მიცემისა, განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით.

16. მუშათა და გლეხთა ინსპექციისათვის საჭირო საარსებო თანხა მიღებულ იქნება საერთო სახარჯთაღრიცხვო წესით.

საქართველოს სსრ. სოც. რესპ. რევ. კომიტ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი: **ელისაბედაშვილი**

საქ. რევ. კომიტეტის მდივანი **შ. გაბრიჩიძე**.

1921 წ. მარტის 27
ქ. ტფილისი-სასახლე.

დეკრეტი № 31.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონურმა კომიტეტმა დაადგინა:

1. ყოველმა ყოფილმა სამოქალაქო სააღრიცხვო დაწესებულებამ დაუყონებლივ უნდა წარუდგინოს საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო სამხედრო კომისარიატებს სიები იმ მოქალაქეთა, რომელნიც დაბადებული არიან 1901 და 1902 წ.წ. და სამხედრო საბეგარო უბნებში ირიცხებიან.

ყოველი საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო სამხედრო კომისარიატი, სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის შტაბის ხელმძღვანელობით, უნდა შეუდგეს ზემოხსენებული წლოვანობის მოქალაქეთა ჯარში გასაწვევი სიების დამზადებას და მიიღოს წინასწარი ზომები ახლო მომავალში სამხედრო ბეგარის საუკეთესოდ განხორციელებისათვის.

2. საქართველოს ს. ს. რ. მოქალაქეთა აღრიცხვა 18-დან 40 წლამდე, ვიდრე ამის შესახებ ახალი წესები იქნება გამოცემული, უნდა სწარმოებდეს ძველი წესების თანახმად.

3. სამხედრო ბეგარის მოსახდელად უნდა გაწვეულ იქნეს საქართველოს ს. ს. რ. ყოველი მოქალაქე აღნიშნული წლოვანობისა, რომელიც კი სცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, მიუხედავად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

შენიშვნა: 1) მუსლიმან მოქალაქეთა აღრიცხვა და ჯარში გაწვევა მოხდება განსაკუთრებული წესით, რომელიც დამატებით იქნება გამოცხადებული.

შენიშვნა: 2) დუხობორები და მოლოკნები ზურგის დაწესებულებათა სამუშაოზე იქნებიან დანიშნულნი.

4. სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან უნდა განთავისუფლებულ იქნენ მხოლოდ: ა) თიზიკურ ნაკლისა და ავადმყოფობის გამო და ბ) მასწავლებლნი და მოსწავლეინი განსაკუთრებულის წესით, რომელიც ცალკე იქნება გამოცხადებული.

არავის არავითარი შელავათი არ მიეცემა, არც ოჯახობრივი და არც სხვა განსაკუთრებული მდგომარეობის გამო.

5. ჯარში და სამხედრო დაწესებულებებში და სამმართველოებში სამსახურის ვადა, ახლო დადგენილების გამოქვეყნებამდე, განისაზღვრება ორი წლით.

6. საბჭოთა დაწესებულებების ზოგიერთი კატეგორიის პასუხისმგებელი მომუშავეებისა და სახელმწიფო მნიშვნელობის დაწესებულებათა და წარმოებათა მუშა-მოსამსახურეების სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების საკითხს გადასწყვეტავენ სათანადო საგუბერნიო სამხედრო კომისარიატებთან არსებული დროებითი თავისუფლების ვადის განსაკუთრებული კომისიები.

7. ამ დეკრეტის სისწორით ასრულებისა და მისი განვითარებისათვის სამხედრო და საზღვაო კომისარიატის შტაბი სათანადო განმარტებებს მისცემს სამხედრო ნაწილებსა და დაწესებულებათ.

8. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**.

სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარი **შ. ელიავაძე**.

1921 წ. აპრილის 29.
ტფილისი-სასახლე.

დეკრეტი № 32.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტისა.

საქართველოს დასახიჩრებულ მეომართა კავშირის შესახებ.

საქართველოს რევ. კომიტეტის ამა 1921 წლის აპრილის 2-ს დეკრეტ № 11-ის (სოციალური უზრუნველყოფის) დამატებად საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონურმა კომიტეტმა დაადგინა:

1. საქართველოს დასახიჩრებულ მეომართა კავშირის ყოველი ქონება გამოცხადდეს სახელმწიფოს საკუთრებად და გადაეცეს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს რესპუბლიკის ყველა დასახიჩრებულ მეომართა დასაცმყოფილებლად.

2. დასახიჩრებულ მეომართა კავშირის ის ქონება, რომელიც წადებული აქვთ უწყებებს ან



დაწესებულებათ, უნდა დაუყონებლივ ჩაბარდეს სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატს.

3. საქართველოს დასახიჩრებულ მეომართა კავშირის წევრებად ჩაითვალოს რესპუბლიკის ყველა დასახიჩრებული მეომარი, როგორც ძველი ლაშქრისა, ისე წითელი არმიისა.

4. საქართველოს დასახიჩრებულ მეომართა კავშირს ვეალება მიაღოს მონაწილეობა რესპუბლიკის ყველა დასახიჩრებულ მეომართა უზრუნველყოფის საქმეში მასვე ვეალება მარჯვა-გამგებლობა დასახიჩრებულ მეომართა საჭიროებისათვის დაარსებულ დაწესებულებათა და სახელოსნოებისა.

5. იმ დრომდე, სანამ განსაზღვრულ იქნება საქართველოს დასახიჩრებულ მეომართა კავშირის ორგანიზაციის ფორმა, აგრეთვე ის, თუ რაწიანი წესით უნდა ღებულობდეს იგი მონაწილეობას ინვალიდების უზრუნველყოფის საქმეში და რა ურთიერთი დამოკიდებულება იქნეს მას სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან, საქართველოს დასახიჩრებულ მეომართა კავშირი განაგრძობს თავის ჩვეულებრივ მუშაობას სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით, როგორც მისი ორგანო.

6. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარის მოადგილე ვ. ცინცაძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. მაისის 10 ქ. ტფილისი-სახალქ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 46^{*)}

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის ამა 1921 წ. მაისის 4-ს დადგენილებით, ამიერ-კავკასიის გაერთიანებული რკინის გზების პოლიტიკური განყოფილების უფროსის თანამშემწეთ დანიშნულია აშხ. კაკაბაძე.

საქართველოს ს. ს. რ. რევ. კომ. თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. მაისის 8. ქ. ტფილისი.

*) „მოამბის“ მე-4 № დაბეჭდილი „46 № ბრძანება“ რედაქციაში რევკომის კანცელარიიდან შეცდომით იყო გამოგზავნილი ხსენებული ბრძანება გაუქმებულია რევკომის მიერ. ბრძანება № 46 შეეხება აშხ. კაკაბაძის დანიშვნას

რედაქცია.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 47

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის ამა 1921 წ. მაისის 4-ს დადგენილებით, აშხ. სერ. ქავთარაძე დანიშნულია დროებით საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეთ.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. მაისის 8 ქ. ტფილისი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 48.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ. მაისის 4-ს დადგენილებით, აშხ. ს. ტოროშელიძე დანიშნულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილეთ.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. მაისის 8. ქ. ტფილისი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 49.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის ამა წლის აპრილის 22-ს დადგენილება № 9-ს დამატებად ღვინით ვაჭრობის შესახებ, ამით საყოველთაოდ ცხადდება შემდეგი:

1. სასტიკათ აკრძალულია ღვინით ვაჭრობა და აგრეთვე ღვინის სპა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რკინის გზების სადგურების ბუფეტებში და რკინის გზების მთელ ლიანდაგზე.

2. ამ ბრძანების შეუსრულებლობისათვის დამნაშავენი მიეცემათ სასტიკ პასუხის გებაში რევოლიუციონური დროის კანონებს თანახმად.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. მაისის 8 ქ. ტფილისი, სახალქ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 50.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილებით, აშხ. მიხეილი (ვალ-

ლია) მაქსიმეს ქე ხუთულაშვილი დანიშნულია საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილეთ. საქართველოს ს. ს. რ. რევ. კომ. თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. მაისის 10 ქ. ტფილისი.

დადგენილება № 15.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა

სანაპირო დამცველ რაზმს, რომელიც წინათ საქართველოს სამხედრო მინისტრის გაგებლობაში იყო, ამ ერიდან ეწოდებოდეს საზღვრების დამცველი ჯარი და დაექვემდებაროს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარს.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუც. კომიტ. თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი შ. ელიავა.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წლ. მაისის 10 ქ. ტფილისი.

დადგენილება № 16.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა შიათურის შავიქვის საექსპორტო საზოგადოება „ჩემო“-ს შესახებ.

ქიათურის შავიქვის ექსპორტის მომავალში განვითარებისა და გაფართოების მიზნით, რასაც უაღრესი მნიშვნელობა უნდა ექნეს საქართველოს ს. ს. რ. რესპუბლიკისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმეში და დაბატებად და განსამარტებლად საქართველოს რევკომის განცხადებისა, რომელიც დაიბეჭდა ამა წლის აპრილის 12-ს გაზეთ „პრავედა გრუზი“-ს № 34-ში, საქართველოს რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაადგინა: მიღებულ და დამტკიცებულ იქნეს ქიათურის შავიქვის საექსპორტო საზოგადოება „ჩემო“-ს წესდება იმ ცვლილებით, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს ახალი სახელმწიფოებრივი წესწყობილების ფაქტიდან.

შენიშვნა: წესდების ცვლილებანი ნაჩვენებია საქართველოს რევკომის დადგენილების ოქმში.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუც. კომიტ. თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარის მოადგილე კ. მოდებაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. მაისის 10 ქ. ტფილისი.

წესები

მიწების ჩამართმევა-დანაწილების შესახებ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში.

(შედგენილი 1921 წ. 6 აპრილის დეკრეტის მე-18 მუხლის თანახმად *)

I. საერთო დებულება.

1. ყველა მიწა მშრომელთა საერთო კუთვნილებას შეადგენს, რის გამო საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში მოსპობილია მიწის ყიდვა-გაყიდვა, იჯარით გაცემა, დაგირავება ან რაიმე სხვა სახით მიწის განსხვისება.

2. ყველა მიწა საქართველოში შეადგენს ერთ სახელმწიფო ფონდს და გადადის სოფლის მიწის მუშათა დეპუტატების საბჭოთა პირდაპირ განკარგულებაში, რომელნიც მოქმედებენ თანახმად მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის დირექტივებისა.

3. მიწით სარგებლობის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვინც-კი დაამუშავებს ძას საკუთარის შრომით. მიწით სარგებლობის ფორმა და წესრიგი განისაზღვრება ამ წესებით.

4. მიწით სარგებლობის ფორმა, იქნება ის კომლექური, საზოგადოებრივი, საამხანაგო თუ კომუნალური, თავისუფალია.

II. მიწის კომიტეტებზე.

5. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის დირექტივებს მიწათ-მოწყობის შესახებ; ანხორციელებენ ადგილობრივ მიწის კომიტეტები, რისთვისაც ყველა თემში ან, თუ ამას საქაროება მოითხოვს, ცალკე სოფელში, ირჩევენ უმიწაწყლო, მცირე და საშუალო მიწის მქონეთა შორის მიწის კომიტეტებს, ათა ნაკლებ სამი და არა უმეტეს ხუთი პირისაგან.

6. მიწის კომიტეტში შედიან აგრეთვე მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის და მიწის მუშათა დეპუტატების სამაზრო საბჭოს მიერ დანიშნული თითო წარმომადგენელი.

7. თუ თავმჯდომარეობა მიწის კომიტეტში არ აქვს დავალებული მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელს, იმ შემთხვევაში თავმჯდომარეს ირჩევს თითონ კომიტეტი.

III ნორმის გამორკვევა.

8. მიწის კომიტეტი პირველ ყოვლისა არკვევს მიწის იმ რაოდენობას (ნორმას), რომელიც უნდა ხელუხლებლად დაეტოვოს მფლობელს. ამ ნორმითვე იხელმძღვანელებს კომიტეტი თავისუფალი მიწების განაწილების დროს უმიწაწყლოთა, მცირე და საშუალო მიწის მქონეთა შორის.

9. მიწის ნორმა, რომლის გამორკვევის დროსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც შრომის უნარი, აგრეთვე ოჯახის წევრთა

*) იხ. შინ. საქ. სახ კომისარიატის „მოამბე“ № 4.

რიცხვი, არ უნდა იყოს ნაკლები კომლის საარსებო მინიმუმისა.

შენიშვნა: თუ ოჯახის წევრთა რიცხვი აღემატება სამს, მაშინ ყოველ ზედაეტ წევრზე ნორმას უნდა ძიებატოს განსაზღვრული რაოდენობა მიწისა.

10. ნორმის გამოანგარიშებისათვის შეიძლება ამა თუ იმ სოფლის სახნავი მიწები დაყოფილი იქნეს კატეგორიებად და თითოეულ კატეგორიაში ნორმა გამოანგარიშება ცალკე.

11. საძოვანლოების, საბაღე-სავენახეების, საბოსტნეების, კარზე ტყეების ნორმა უნდა ცალკე იქნას გამოანგარიშებული.

შენიშვნა: ეს ნორმა არ ჩაითვლება სახნავ-სათესი მიწების ნორმაში.

12. შემუშავებულ ნორმების პროექტს, დასაბუთებულ მოხსენებასთან ერთად, მიწის კომიტეტს არდგენს სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილებაში, რომელიც იხილავს მას და თუ საწინააღმდეგო არა აქვს-რა, ურდგენს მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატს, წინააღმდეგ შემთვევაში უბრუნებს უკან შესასწორებლად.

13. მიწის კომიტეტი დაიიშნული მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის და მიწის ძუშათა დეპუტატების—სამაზრო სა ქოს წარმომადგენლები, მიწის ნორმების შემუშავების და წარდგეისა შემდეგ დაუყოვნებლივ გადადიან ძანლობელ თემის ან სოფლის კომიტეტებში ასეთივე ძუშაობის საწარმოებლად.

14. ზედმეტი მიწების ჩამორთმევას და თავისუფალი ფონდს განაწილებას კომლერად, თუ სხვა ფორმით, მიწის კომიტეტები შეუდგებიან ძხოლოთ იმის შემდეგ, როცა ძიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი დაამტკიცებს მიწის ნორმას.

15. მიწის ნორმების გამორკვევას ან ერთად, მიწის კომიტეტი არკვევს აგროფეე საადგილ-მამულო ფონდის და საფლის მიწის მუშათა რაოდენობას. საადგილ-მამულო ფონდი უნდა აღნუსხულ იქნეს ძიწების კატეგორიების და სხვა-და-სხვაობის მიხედვით. მიწს მუშათა აღრიცხვა უნდა მოხდეს კომლერად, სქესის, წლოვანების, მუშაობის უნარის, ქონებრივი ავლაღიდების, მუღმივი ცოვრების ალაგის, ხელობის ან სამსახურის და სხ. ასეუების შედეგლობაში მიღებით. ეს ცნობები უნდა წარდგენს იქნას ნორმებთან ერთად.

IV. მიწათ-მოწყობის გეგმის შედგენა.

16. სამაზრო საადგილ მამულო განყოფილებები იღებენ ყოველგვარ ზომას, რომ ძიწის კომიტეტების მუშაობა, მიწის ნორმების გამოსარკვევად ძთელს მზოაში მოხდეს განსაკუთრებულის სიჩქარით და სისწორით.

17. მიწის კომიტეტებისაგან მოხსენებების და ნორმების პროექტების მიღების შემდეგ, სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილება იმუშავებს საერთო გეგმას მიწის მოწყობისას ძიწეს მაზრაში და დასაბუთებულ მოხსენებებთან ერთად ურდგენს მას ძიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს.

18. სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილების მიწათ-მოწყობის გეგმა მაზრაში უნდა შეიქცადს გადასახლებისთვის, კომუნების და სხვა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებისთვის და საბჭოთა მეურნეობის, ან ადგილობრივი ძვით-მართველობებისთვის საქირო მიწების აღნუ ხვას.

19. მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი, მიიღებს-რა მაზრებიდან იწად-მოწყობის დამუშავებულ გეგმებს, თვითონ შეადგენს ერთ გეგმას ძიწად-მოწყობისას რესპუბლიკის ფარგლებში. ამ გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პირველ ყოვლისა უმიწაწყლო და წვრილი და საშუალო მიწის მქონეთა საარსებო ინტერესების სრულ დაკაყოფილებას, მათ მიერ მიწებით დამუშვილებულად სარგებლობას და ისეთი დირექტივების გამოძუშავებას, რომლებიც სავსებით უზოუნ-ვილყოფენ მიწის მუშის მიერ მისი ნამუშაყარის ხაყოფით თავისუფალ და შეუღახველ სარგებლობას, მიწათ-მოწყობის მეორე რიგის საგანს უნდა შეადგენდეს ახალშენების ფართო მოწყობა რესპუბლიკაში და მესამე რიგის სამაზრუნველო საგნად დარჩება საბჭოთა, ან ადგილობრივი ძვით-მართველობათა მეურნეობათათვის და კომუნების ან სხვა ამგვარ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებისათვის შესაფერი მიწების გადაღება.

მიწათ-მოწყობის საერთო გეგმა, დამტკიცებული სახალხო კომისარიატს საბჭოს მიერ გადაეგზავნება სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილებებს მიწის კომიტეტების მიერ ცხოვრებაში გასტარებლად.

V. მიწების ჩამორთმევა.

21. დამტკიცებული ნორმების მიღების შემდეგ მიწის კომიტეტი დაუყოვნებლივ შეუდგება მიწათ-მოწყობას და თუ რამე განსაკუთრებული ბრძნება არა აქვს მიღებული თავისუფალი ფონდის შესახებ, ამ ფონდის დანაწილებას კომლერად უმიწაწყლოთა და მკირე მიწის მქონეთა შორის.

22. მიწების ჩამოართმევად კომიტეტი იწვევს მიწის პატრონს და წინადადებს აძლევს მას აწირო-ჩიოს საძოვანლო კარმიდამო ვენახ-ბაღში (მუხ. მ დიკრეტისა) და სახნავ მიწებში ნორმების თანახმად ხეღლი მიწა.

23. თუ მიწის პატრონი ჩამორთმევას ვერ დაესწო, კომიტეტი იღებს მხეველობაში მისი ოჯახის სხვა წევრების განცხადებას და ყოველ შემთხვევაში რტოვენს მამ მიწებს იმ ანგარიშით, რომ, რაც შეიძლება დაცულ იქნეს კომლის საარსებო ინტერესებში. მიწის პატრონის გამოუცხადებლობა მიწების ჩამორთმევას არ შ აჩ რებს.

24. ჩამორთმევას აქტში აღნიშნული უნდა იქნეს მაზრა და სოფელი, სადაც ჩამორთმევა ხდება, მამოლის პატრონის სახელი, მამის სახელი და გვარი, ჩამორთმევის თვე და რიცხვი, კომისიის შემდგენლობა, მემამულის მიერ არჩეული და ჩამორთმეული მიწები ნაკვეთებად და ზომით, საერთო ჯამი დატოვებული და ჩამორთმეული მიწებისა. აქტს ხელს აწერს კომიტეტი და მემამულე.

ჩამორთმევის აქტი არსებით საბოლოოვოა. მისი განსაზღვრება შეიძლება ორი კვირის განმავლობაში დღიდან დადგეილებსა სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია ფორმალური ძბარე.

VI. მიწების დანაწილება.

25. მიწების დანაწილების დროს მიწის კომიტეტი პირველ ყოვლისა აკმაყოფილებს უმიწაწყლოებს სამოსახლოებით და სხვა მიწებით და შექდევ მცირე მიწის ძქონეთ.

26. უმიწაწყლოთათვის სამოსახლოების მისაჩენად პირველ ყოვლისა გამოყენებულ უნდა იქნას ჩამორთმეული სამოსახლოები, ან ძათი ნაჭრები და რაცა ასეთები არაა, სოფელზე მიკრული თავისუფალი მიწები, ისე რომ შეძლებისა დაგვარად სამოსახლოს ზედ მიეკრას საინავ მიწების ხვედრი ნორმაც.

27. მიწის კომიტეტებს კატეგორიულად მოეთხვებათ მიიღონ ყოველივე ზობა მიწების დაქუცმაც ბის თავიდან ასაცილებლად, რომ ხვედრი მიწა ამა თუ იმ პირს მიეკუს ერთ ხაჭრათ, ოისთვისაც ფართოდ უნდა იქნეს წარმოებული ნაჭრების გაცვლა.

28. რაცა სოფლებში არ არის საკმაო თავისუფალი ფონდი, კომიტეტი იღებს ზომებს, რომ მიწის მუშები დაკმაყოფილებულ იქნან ნორამდე მოსამზღვრე სოფლებს თავისუფალი ფონდიდან, ან სხვა ადგილებში გადაახლებით.

29. მიწების კომიტეტულად დასანაწილებლად წინასწარი პროექტი უნდა შესდგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დანაწილების დროს ატეხილი დავის გადაწყვეტა არ მოხერხდება ადგილზევე თვით კომიტეტის მეერ. ამ შემთხვევაში წინასწარი პროექტი მიწების დანაწილებისა უნდა შეიცვალოს მოწინააღმდევე მხარეების პრეტენზიების აღწუსხვას და თან ახლდეს გეგმა. ეს პროექტი წარედგინება სამაზრო საადგილ მამულო განყოფილებას და მის მიერ საბოლოოდ უნდა იქნეს განხილული და გადაჭრილი.

VII. ახალშენების მოწყობა.

30. უმიწაწყლო და მცირე მიწის ძქონე მცხოვრებთა გადასახლებას იმ ადგილიდან, სადაც მათ დასაკმაყოფილებლად საკმაო მიწის ფონდი არ მოიპოვება, თავისუფალ საახალშენო ადგილებზე ახდენს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი.

31. იგივე კომისარიატი ახდენს საახალშენო ფონდის განსაზღვრას ისეთ რაიონებში, სადაც დაწესებული ნორმებით ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროებაზე ზედმეტი მიწა მოიპოვება, იკვლევს ამ ფონდს და ამზადებს გადასახლების მსურველთა დასახლებლად.

32. გადასახლებულთა მიწით დაკმაყოფილება ხდება იმავე ნორმით, რომელიც შემუშავებული იქნება იმ რაიონებში, სადაც საახალშენო ფონდი იპყოფება.

* 33. საქართველოს ს. ს. რ. მიწების თავისუ-

ფალ ფონდზე დასახლების უფლება მხოლოდ მის ქვეშევრდომთ და მხოლოდ შეწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით.

34. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი, საახალშენო რაიონის ბუნებრივი პირობების და ამ რაიონის ძველ ბინადრობიდან და შორების მიხედვით, უწევს დახმარებას გადასახლებულთ: ახალ ადგილზე გადაყვანით, შენობების ასაგები მასალით, სამეურხეო იარაღებით, მუშა საქონლით, სათესლე ხორბლით, საზრდოთი და საქონლის საკვებით პირველ მოსაკლაძდე, საზოგადოებრივი შენობების აგებით და სხვა.

35. გადასახლებულები ვალდებული არიან თავიანთი უძოავი ქონება ძველ ბინადრობაზე (შენობები, ბაღები, ვენახები და სხ.) გადასცენ ადგილობრივ საბჭოთა განკარგულებაში.

36. გადასახლების საქმის მოწყობის შესახებ დიწვირილებითი წესების გამოცემა ევალება მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს.

VIII. კულტურული მამულები

37. მხსვილი კულტურული მამულები, სადაც გაშენებულია სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის პლანტაციები, სანეოგეები, ბაღები, ორანჟერეები და სხ. არ იქნებიან დააწილებულნი, არაძედ დარჩებიან კულტურულ საჩვენებელ სახალხო მამულებათ (მუხ. 7 დეკრეტისა). მამულების სახნავ-სათესი მიწების რომელიმე ნაწილის გამოყენება საახალშენოდ, ან ადგილობრივ სოფელელთა შორის დასახლებლად, უკიდუოვი სივიუროვის გამო, შეიძლება მხოლოდ მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით.

38. იმ მაზრებში, სადაც ასეთი მამულები სულ არ არის, მიწად მოქმედების კომისარიატი მიწათ-მოწყობის პროექტის შემუშავების დროს გადასდებს შესაფერ ადგილზე საკმაო მიწას, რომ მოწყობილ და გაშენებულ იქნას მაზრაში ერთი ან რამოდენიმე კულტურული, საჩვენებელი და საცდელი მამული.

39. კულტურულ საჩვენებელ და საცდელ მამულებისთვის თავისუფალი ფონდიდან მიწების გამოყოფის დროს, უნდა შესდგეს წინასწარი პროექტი სათანადო გეგმით, რომელიც მოყვანილ იქნება სისრულეში მხოლოდ მისი დატკიცების შემდეგ მიწად-მოქმედების კომისარიატის თით.

40. კულტურულ-საჩვენებელ მამულების გამგეობა ეწყობა თანაძიად განსაკუთრებული ინსტრუქციისა.

XI. სასოფლო-სამეურნეო კომუნები. არტელები, ამხანაგობები და სხ.

41. მიწის კომიტეტი ნორმის გამორკვევის შემდეგ, სანამ მიწებს დანაწილებას შეუდგებოდეს წინადადებას აძლევს მცხოვრებთ მიწის სივიროვის გამო შეერთდნენ კოლლექტიურ მეურნეობის ჯგუფებში (კომუნებში, არტელებში, ამხანაგობებში და სხ.) და აწარმოონ საერთო მეურნეობა, რისთვისაც მთავრობა გაუწევს მათ ყოველგვარ დახმარებას. როცა მცხოვრებნი ამაზე დათანხმდებიან, კო-

მიტეტი გამოიწვევს მიწად-მოქმედების კომისარიატიდან ინსტრუქტორს საქმის ორგანიზაციისაგვის.

42. კომუნებს, არტელებს და საერთოდ კოლექტიურ მეურნეობათ, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით, შეიძლება გამოეყოს ესა თუ ის კულტურულად დაშუშავებული მიწა (ვესახი, პლანტაციები და სხ.) რიგს გარეშე, მხოლოდ ის შემთხვევაში თუ კოლექტიურ მეურნეობაში ჩაირიცხებიან შარტო იმ მოძიჯნავე სოფლის უშიწაწყოლო, ან მცირე მიწის მქონენი, რომელ სოფელშიაც მდებარეობს მამული. კოლექტიურ მეურნეობის აქთაგობაში შეიძლება შევიდეს გაშენებული მამულია პატრონიც, თავის ოჯახის მპროპელი წევრებითურთ. წევრად მიიღება აგრეთვე არა ადგილობრივი მკხოვრებიც, თუ კი ის აუცილებლად საჭიროა კოლექტიური მეურნეობისათვის.

43. კოლექტიური მეურნეობათათვის ადგილის გამოყოფა იდება შინაგარი გეგმის შედგენით, რომელსაც უხდა დატკიცებულ იქნას მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ.

44. კოლექტიური მეურნეობის შესახებ გამოშუშავებული უნდა იქნეს განსაკუთრებული დებულება.

X. სათადარიგო ფონდი.

45. მიწების დანაწილების შემდეგ, სოფლის ფარგლებში გადარჩენილი თავისუფალი მიწა გადაირიცხება სათადარიგო ფონდში, რომელიც გადადის თემის განკარგულებაში და სარგებლობაში. სათადარიგო ფონდიდან უნდა დაკმაყოფილებულ იქნეს მიწის მოთხოვნილება, ოცა ოჯახებს შეემატებიან ახალი წევრები.

XI. მიწით სარგებლობა.

46. მიწით სარგებლობის უფლება ისპობა: 1) მოსარგებლის სიკვდილით, 2) როცა მოსარგებელი უარს განცხადებს მიწით სარგებლობაზე, 3) სასაართლოა გადაწყვეტილებით და 4) როცა მოსარგებლემ უშიწეზოთ თავს გაანებებს მიწის დამუშავებას ან შემთხვევაში ჩამორთმეული მიწა გადადის თემის განკარგულებაში და ჩაირიცხება სათადარიგო ფონდში. უპიროტესობა ჩამორთმეულ მიწის ნაჭრების მიღებისა, ეძლევა ახლოაგელ ნაფესავეებს იმ პირობას და მისივე ჩვევებით, რომელსაც ჩამორთვა მიწა.

47. იმ შემთხვევაში, როდესაც მიწით მოსარგებლემ თავს ევბით ან იძულებით ანებებს თავს მიწით სარგებლობას, მას უნდა აენაზღაუროს მისი შრომის ნაყოფის საფასური (მენობა, ბ.დი, ვენახი, ბოსტანი, ნათესი და სხ).

48. მიწით სარგებლობის უფლების განსხვისება (გაყიდვა, გაჩუქრება, დაგირავება, ან იჯარით გაცემა) აკრძალულია.

XII. მიწის მზამელებზე.

49. მიწების ჩამორთმევის და დანაწილებს დროს, ყოველგვარ სამიწასმზომელო სამუშაოს

ახდენს მიწის მზომელი, თანახმად სათანადო ტექნიკურ ინსტრუქციისა.

XIII. მიწის კომიტეტების უფლებები.

50. მიწის კომიტეტს უფლება აქვს, მოსთხოვოს სოფლის მკოვრებთ თავის საჭიროებისთვის შესაფერი ბანა საკანკლორიო და სახაზავო სამუშაოსთვის ვარგებული, გათბობით და განათებით, ბინის დარაჯი, ცხენები, ან სხვა გადასახილი საშუალება, როცა სამუშაო დაშორებულია კომიტეტის ბინიდან საი ვერაზე მეტს, ერთი მუდმივი მუშა (რეგნიკი) მიწის მზომელისათვის, საჭირო მუშები ტყის გასაჩებად, გეოდეზიური იარაღების გადასატანად და საზღვრების ნიშნების ჩასაყრლად შესაფერი მასალა მტკიცე ფასებში, რომელსაც იხდის ხაზინა.

51. მიწის კომიტეტის ადგილობრივ მკხოვრებთაგან არჩეულ წევრებს ეძლევათ სოფლისაგან ვანსაკუთრებულა ჯილდო, თანახმად წევრების სურვილისა, ფულთ ან ნატურით, რომლის რაოდენობაც საზღვრავს კომიტეტის აჩრევი ყოილობა. იგივე ყრილობა აწესებს, მიწის კომიტეტისთვის საჭირო მუშების, ბინის, დარაჯის, გადასახილი საშუალების და სხვ. ქირას მტკიცე ფასებში. დამტკიცებულია 1921 წ. აპრილის 23 ს.

დადგენილება № 5.

ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა ბინების ჩამორთმევის და ჩასახლების შესახებ.

1. ყოველი, დღემდე გამოცემული განკარგულება ბინების ჩამორთმევისა და სხვის ბინებში ჩასახლების თაობაზე, შეეხება ქალაქ თბილისს, ქუთაისს, ბათუმს და ფოთს და იგი უნდა სწარმოებდეს იმ წესით, როგორსაც შეიმუშავენს და გამოაქვეყნებს ქალაქის რევეკომის საბინაო ვაყოფილება.

2. თბილისის ქუთაისის, ბათუმის და ფოთის გარეშე, ყველა მახზის ქალაქში, დაბაში და სოფლად, არავის არცაქვს უფლება ჩამორთვას ბინა ვისმე, ერთი ბინიდან მეორეში გადაასახლოს, ან ჩასახლების განკარგულება გასცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის ნებდაუთო ველად და დაუდასტურებლად. ყოველი ასეთი მოქმედება კანონის დარღვევათ ჩაითვლება დადამნაშავე სასტიკად იქნება დასჯილი, ხელისუფლების გარდამეტებისათვის, სარეგულიუციო კანონების ძალით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვიციანი. საქმეთა-მმართველი ვ. ხახანაშვილი. 6 მაისი. 1921 წ. ქ თბილ.სი.

ბ რ ქ ა ნ ე მ ე ბ ა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ხშირად შემოდის საჩივრება მიწის, ან ქონების ჩამორთვაზე და სხვა სახის საჩივრების შესახებ. 6 მაისი 1921 წ.

მორთმევაზე თემების რეგკომების, ან კერძო პირების მიერ. ხშირია საჩივრები აკრეფვე სხვადასხვა თანამდებობის პირებზე და სხვა.

ვაუწყებ ყველა ჩემდამი რწმუნებულ კომისარიატის განყოფილებას, რომ თუ საჩივრების მიღება და განხილვა შინაგან საქმეთა კომისარიატის მიერ აქამდის დასაშვები იყო, რადგან ადგილობრივი სამაზრო რეგკომები არ იყვნენ ჯეროვნად მოწყობილნი, ამიერიდან, ყველა ასეთი საჩივარი თემის რეგკომზე, თანამდებობის და კერძო პირების მოქმედებაზე, კომისარიატის მიერ განხილულ არ იქნება და გადაეგზავნება მაზრის რეგკომს განსახილველად და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი კი განიხილავს მხოლოდ სამაზრო რეგკომებზე საჩივრებს.

შინადადებს გაძივით ყველა განყოფილების გამგეთ, ამიერიდან ჩემთვის მოსახსენებლად წარმოგზავნონ ქაღალდები მხოლოდ სამაზრო რეგკომების დასკვნით ან საჩივრები მათზე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

ბ. კვიციანი.

საქმეთა-მმართველი ვ. ხახანაშვილი.

8 მაისი. 1921 წ. ქ. თბილისი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 41

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ა.ხ. ბეზსმერტნი (მაზარაკი) განთავისუფლებულ იქნას კოლეგიის წევრის თანამდებობიდან და გადაირიცხოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის განკარგულებაში.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

ბ. კვიციანი,

საქმეთა მმართველი ვ. ხახანაშვილი.

1921 წ. მაისის 11. ტფილისი.

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მთავარ, მაზრის, ქალაქისა და რაიონის მუშათა და გლეხთა მილიციის მართვლობის მოწყობისა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ძველი მილიცია შესდგება მებრძოლ ერთეულებისაგან, რომელნიც საჭიროების დროს შეიძლება შეგჯუფებულ იქნენ რესპუბლიკის ამა თუ იმ ნაწილში და გამოყენებულნი გადაჯგუფების შემწეობით თავდაცვის გასაძლეერებლად, ან მძარცველ ბრბოების ასალაგქავად და მოსასპობად და სხვა.

1. მთავარ მილიციისა, მაზრისა, ქალაქის და რაიონის სამართველოებს მიეკუთვნება სათანადო შტატების სახელწოდება შემდეგის უფლებებით: მთავარ მილიციას, ცალკე რაზმის შტაბისა, მაზრისა და ქალაქის მილიციას — ცალკე ათასეულის შტაბისა და რაიონისას — ცალკე ასეულის შტაბისა.

მთავარ მილიციის სათავეში უდგას უფროსი რომელიც იმავე დროს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და სრულიად საქართველოს საგანგებო კომისიის წევრად ითვლება და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში მილიციის საერთო ხელმძღვანელობა ეწავლება. მთავარ მილიციის უფროსის მოადგილედ მისი შტაბის უფროსია.

2. მთავარ მილიციის შტაბის სამოქმედო საგანს შეადგენს:

ა) მაზრისა, ქალაქისა და რაიონის მილიციის შტაბების მოწყობა,

ბ) საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფარგლებში მილიციის მოქმედების ხელმძღვანელობა,

გ) მილიციის მიმართ ბრძანებათა და განკარგულებათა გამოცემა,

დ) მილიციის სამხედრო გაწვრთნა და ამ შეიარაღებულ ძალის გაერთიანება ბრძოლისათვის სამოქმედოთ,

ე) დისციპლინის განსამტკიცებლად წესრიგის დადგენა და ამ წესრიგის განხორციელება,

ვ) საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში რევოლიუციონურ წესიერების დაცვა.

ზ) სისხლის სამართლით გათვალისწინებულ დანაშაულობასთან ბრძოლა,

3) რესპუბლიკის მილიციის მეურნეობის წარმოება და მისი კონტროლი,

თ) მილიციის მომარაგება თოფ-იარაღით, ტანისამოსით, საჭურველით, სურსათ-სანოვაგით და სხ.

ი) მაზრისა, ქალაქისა და რაიონის მილიციისაინსტრუქტორო, საინსპექციო და სარევიზიო საქმეებს ხელმძღვანელობა,

კ) პარტულ ძალების და კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციების საინფორმაციო აღრიცხვა, როგორც, მაგალითად, კლუბების, წიგნსაცავ-სამკითხველოებისა და სხვა,

ლ) მილიციის მოქმედების შესახებ ანგარიშების წარდგინა,

მ) მილიციის ხარჯთ აღრიცხვათა შედგენა,

ნ) მილიციის მოქმედებაზედ შეტანილ საჩივრების განხილვა,

3) მილიციის პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობის ხელმძღვანელობა,

ვ) ზემოხსენებულ მიზნის განსახორციელებლად მთავარ მილიციის შტაბის შესდგება შემდეგ განყოფილებათაგან, რომელნიც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ამტკიცებს:

1. საოპერატიული სამოქმედო,
2. საერთო კანცელარისა,
3. საადმინისტრაციო-სამწყობრო,
4. საინსპექტორო,
5. მომარაგებისა.

1-ლი შენიშვნა: სისხლის სამართლის საილიციო განყოფილება პოლიტიკურად და მეურნეობის მხრ ვ. მაზრის, ქალაქის და რაიონის შტაბებს ექვემდებარება; ხოლო

თავის სპეციალ მუშაობაში დამოუკიდებელია და სათანადო ცენტრალ ორგანოებს ემორჩილება.

მე-2 შენიშვნა: რაზმის მცირე მოხელეთა მოსამზადებლად საქართველოს საბ. სოც. რესპუბლიკის მთავარ მილიციის შტაბში ქალაქ თფილისში კურსები არსდება (სავარჯიშო გუნდები), ხოლო რესპუბლიკის სხვა ადგილებში ასეთივე გუნდები მაზრის მილიციის შტაბთან უნდა დაარსდეს.

მთავარ მილიციის შტაბის მუშაობის განაწილება.

4. მთავარ მილიციის უფროსია პასუხისმგებელი საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთელის მილიციისა, იგი ხელმძღვანელობს შტაბის მუშაობას, შტაბის უფროსის საშუალებით, როგორც თავის უშუალო თანამშემწისა, სახელმძღვანელო რჩევა-დარიგებას აძლევს შტაბის განყოფილებათ და ისათს მოქმედებას წარმართავს იმ საქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც მე-2 მუხლშია აღნიშნული.

თუ მილიციას საბრძოლოდ მოქმედება დასჭირდა, მთავარ მილიციის უფროსია მისი სარდალი, იგი პრაზმავს საქართველოს საბჭოთა სოც. მთელს მილიციას და ამ რაზმის უფროსის ყოველგვარ უფლებით არის მოსილი.

5. მთავარ მილიციის შტაბის უფროსია შტაბის ჯგეროვან განყოფილებათა შემწეობით პირდაპირი განმხორციელებელი ყველა იმ მიზნისა, რომელსაც საგნად დაისახავს მთავარ მილიციის უფროსი.

აერთებს რა ყველა განყოფილების მოქმედებას, შტაბის უფროსი ისმენს განყოფილებათა უფროსების მოხსენებას, დამოუკიდებლად სწყვეტს ისეთ საკითხებს, რომელიც მთავარ მილიციის უფროსის დადასტურებას არა საჭიროებს ან წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავარ მილიციის უფროსს მოახსენებს, იგივე საზღვარს განყოფილებათა უშუალო მიწერ-მოწერის უფლებას სხვა დაწესებულებებთან ამა თუ იმ საკითხის შესახებ, აგრეთვე მსინჯავს და ასწორებს ყველა განყოფილების ბრძანების პროექტს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მილიციისათვის საერთო ბრძანებათა გამოსაცემად.

საოპერაციო განყოფილება.

6. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში საოპერაციო განყოფილება აწარმოებს მილიციის გადაჯგუფებას და ბრძოლას სხვა და სხვა გვარ აჯანყებასთან, ბრბოებთან და სხვა; თვალყურს ადევნებს ყოველგვარ მღელვარებას, იღებს ზომებს აჯანყების მოხდენის წინააღმდეგ და საზოგადოდ სარეგულირციო წესრიგის დასაცავად ყოველგვარ მუშაობას ეწევა.

მუშაობის თვისების მიხედვით განყოფილება დანაწილებულია შემდეგ დარგებად:

ა) მილიციის შეიარაღებულ ძალთა განაწი-

ლება-დაბინავების საქმის წარმოებად, რომელიც განაგებს მილიციის ნაწილების ამა თუ იმ ადგილას დაბინავებისა, იმათ გადაჯგუფებისა, შიფრის ახსნისა და ყოველ იმ საქმეს, რასაც საოპერაციო მოქმედება მოითხოვს.

ბ) საოპერაციო მოქმედებათა აღნუსხვისა და მობილიზაციის საქმის წარმოებად; იგი ჰკრებს და თავს უყრის იმ საოპერაციო ხასიათის ცნობას, რომელიც მოუვა მაზრისა, ქალაქისა და რაიონისაგან და ადგენს და აღნუსხავს საოპერაციო კრებულს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფარგლებში, ჰკრებს ადგილებიდან მიღებულ საიდუმლო ხასიათის ცნობებს, მაგ: შეთქმულებისა, აჯანყებისა, გამოსვლებისა და ხალხის სულიერ განწყობილების შესახებ, რის მიხედვითაც სათანადო განკარგულებას აძლევს და თვალყურს ადევნებს, რომ ადგილებიდან თავის დროზედ იყოს წარმოდგენილი საოპერაციო თვისების ცნობები.

ამავე დროს იგივე საქმის-წარმოება აღრიცხავს ყველა წითელ არმიის რაზმში გაწვეულთა და მაზრის, ქალაქის და რაიონის მილიციის სარდლობის შედგენილობას.

საერთო კანცელარია.

7. სათავეში სდგას კანცელარიის უფროსი, რომელიც მიიღებს ყველა ქალაქს, და ანაწილებს ჯგეროვან განყოფილებათა შორის. კანცელარიის მოქმედების ფარგლებში შედის საერთო სამოქალაქო თვისების მუშაობა, ამასთან იგი განაგებს ყოველგვარ მიწერ-მოწერას, რომელიც არ ექვემდებარება ამა თუ იმ განყოფილებას, აწარმოებს შტაბის პირად შედგენილობის საქმეებს, ბრძანებათა წიგნებს, რეგისტრატურას და აგრეთვე მთავარ მილიციის უფროსისა და შტაბის უფროსის განმარკვულებელ თვისების საქმეებს.

საადმინისტრაციო-სამწყობრო განყოფილება.

8. საადმინისტრაციო-სამწყობრო განყოფილება განაწილებს სამწყობრო და საადმინისტრაციო საქმის წარმოებად და შემდეგს სამუშაოს ეწევა: აღრიცხავს შტატს და სამწყობრო და უმწყობრო ნაწილების პირად შედგენილობას ცალკ-ცალკე, განაგებს მილიციის ჯარს ერთეულების აღრიცხვას აგრეთვე მებრძოლ ერთეულებს-ათასეულის, ასეულ, ცხენოსან სათადარიგო და ცხენოსან ასეულების და მილიციის საერთო რიცხვს.

აწარმოებს ყოფილ ოფიცრებისა და წითელ და ძველ არმიის სარდლობის შედგენილობას საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მილიციისას, ოცეულის უფროსების გამოუკლებლივ. ამ მიზნით შემოღებული უნდა იქმნეს ანკეტები და წარმოებულ იქმნეს ასრულების ნუსხა. აღრიცხავს მილიციაში ყველა ახლად შეოსულ და სამსახურში მყოფ წითელ არმიელებსა და დახელოვნებულ მუშებს, რომელთა შესახებაც ანკეტები უნდა მოეპოებოდეს; ცნობები განაწილებით უნდა იქმნას წარმოებული ცალკ-ცალკე მაზრისა, ქალაქისა და რაიონისათვის; სპეციალისტების ჯამი ხარისხების კვალობაზედ უნდა აღრიცხოს.

ეს განყოფილებავე აწარმოებს საინფორმაციო აღნიშვნებს მომხმარ საერთო სამოქალაქო თვისების ამბებისას, რასაც-კი რესპუბლიკის ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც მაგ: ხანძარისას წყალდიდობისას, გადამდებ სენი-სას და სხ.; ეს ცნობები უნდა აღნიშნოს თითო-ეულ მაზრისა, ქალაქისა და რაიონის შესახებ ცალკ-ცალკე.

ამავე დროს განყოფილება თვალყურს ადევ-ნებს და იძულებულს ჰხდის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციასა, დაწესებულებას და მოქალაქეთ, რათა უცვლელად შესრულებულ იქმნას ყველა დეკრეტი, ბრძანება და განკარგულება, როგორც ცენტრალ, ისე ადგილობრივი მთავრობისა.

საინსპექციო განყოფილება.

9. საინსპექციო განყოფილება განაგებს სა-ორგანიზაციო ხასიათის სამუშაოს. ესე იგი ყოველ გვარ გვემის, სქემისა, ინსტრუქციისა, ცირკული-არის, შტატისა, მოხსენების შემუშავებას და სხ., აქვეყნებს, ცხოვრებაში ატარებს და განმარტავს ცენტრალ მთავრობის ყველა დეკრეტსა და განკარ-გულება, აგროვებს ადგილებიდან მიღებულ ბრძა-ნებათა და მოხსენებათ, რომელთაგან არ ჩვეს სა-ჭირო მასალასა და განმარტებას მილიციისათვის.

ჰკრებს ყველა სტატისტიკურ და სხვა გვარ ცნობას ადგილებიდან და აგრეთვე აწვდის მათ ქვემდებარე დაწესებულებათ. არკვევს ყოველგვარ განსაკუთრებულ თვისებას ამა თუ იმ ადგილისას, მცხოვრებთა რიცხვს, გეოგრაფიულ საზღვრებს, ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას და სხ.

ინსტრუქცი-ს აძლევს და რევიზიას უწევს თავის ქვემდებარე მოსახლახურეთ, არჩევს მილიცი-აზე შეტანილ საჩივრებს, აწარმოებს იმ დანაშაუ-ლობათა საინფორმაციო აღრიცხვას მილიციელთა, სარდლობის შედგენილობისა და მოხელე იოსამსა ხურეთა მიერ ჩადენილს.

მოზარაგების განყოფილება.

10. მოზარაგებს განყოფილება დაწესრიგებს მილიციის სასურსათო საკითხებს საქართველოს საბ-კოთა რესპუბლიკაში, განაგებს ქვემდებარე შტა-ბების სამეურნეო ნაწილების მოწესრიგების საქმეს, ხარჯთ აღრიცხვის შედგენას და ასეთის წარდგე-ნას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სა-ფინანსო განყოფილებაში, აღრიცხავს ტანსაცმელს, საქურველს და იარაღს ს. ს. ს. რესპუბლიკის მთელ მილიციისას, სათანადო უწყებებიდან ტანსაცმელს და სხ. იბარებს, არდგენს მოთხოვნილებათა ნუს-ხას და საერთო ცნობებს ტანსაცმელის, საქურვე-ლისა და იარაღის მდგომარეობის შესახებ.

საბარგო და ცხანოსან ნაწილების შესახებ სა-ჭირო ცნობებსა ჰკრებს და აღრიცხავს. ამ სამუ-შაოს აღსასრულებლად განყოფილება განაწილდება:

- ა) საფინანსო და სურსათ-სანოვანის საქმის წარმოებად,
- ბ) სანიეთო, საიარაღო და ტანსაცმელის საქ-მის წარმოებად,
- გ) შეიარაღების საქმის წარმოებად.

დამოკიდებულება.

მილიციის მთავარ სამმართველოს უფროსისა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან და სა-თანადო რევიკომების მართველობათა განყოფილე-ბის გამგებთან.

მილიციის ორგანიზაცია უნდა ხდებოდეს მხო-ლოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარია-ტის მიერ შემუშავებულ გეგმის თანახმად, ამი-ტომ რევიკომების მართველობათა განყოფილების გა-მგენი ვერავითარს რეორგანიზაციას ვერ მოახდენ-ნენ მილიციის შტაბებში მთავარ მილიციის ცენ-ტრალ შტაბის დაუკითხავად.

12. მთავარ მილიციის უფროსი, როგორც წევრი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიისა, ყველა პოლიტიკურ თვისების მოქმე-დებას საქართველოს ამა თუ იმ ნაწილის შესახებ ანხორციელებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისა, რიატთან შეთანხმებით, რომელიც, თავის შხრივ-არ ერევა მილიციის საორგანიზაციო საქმეში, და ყოველს განკარგულებას მილიციის მიმართ გასცემს მხოლოდ მთავარ მილიციის უფროსის საშუალე-ბით.

სარდლობის შედგენილობის მიღებისა და გა-დაყვან-გადმოყვანის წესი.

13. მთავარ მილიციის უფროსი ინიშნება ში-ნაგან საქმეთა სახალხო კომისარის ბრძანებით.

14. შტაბი ა და განყოფილებათა უფროსებს, ამტკიცებს თანამდებობაზედ შინაგან საქმეთა სა-ხალხო კომისარი მთავარ მილიციის უფროსის წარ-დგენით.

15. სარდლობის შედგენილობის პირთა ერ-თის ადგილიდან მეორეში გადაყვა, ე. ი. მაზრი-სა, ქალაქისა და რაიონის მილიციის უფროსებისა და აგრეთვე ცალკე მილიციონერებისა, დამოუკი-დებლად მთავარ მილიციის უფროსის ხელისუფლე-ბას შეადგენს. მილიციონერების ჯგუფობრივი გა-დაყვან-გადმოყვანა ერთი ადგილიდან მეორეში, იმისდა მიუხედავად, თუ რა მიზეზით არის იგი გა-მოწვეული, უნდა მოხდეს ადგილობრივ რევიკომე-ბის სათანადო განყოფილების გამგესთან შეთანხ-მებით.

შენიშვნა 1: მილიციაში პოლიტიკურ განა-თლების საქმეს აწარმოებს სახალხო გა-ნათლებისა და პარტიულ კომიტეტის პოლიტიკურ განათლების დაწესებულე-ბანი, ხოლო კულტურულ-განმანათლე-ბელ ორგანიზაციათა მაგ. კლუბებისა, წიგნთ-საცავებისა და სხ. საინფორმაციო აღრიცხვა საინსპექტორო განყოფილების მოვალეობას შეადგენს.

შენიშვნა 2: მთავარ მილიციის შტაბის აგე-ბულებებისა და მოწყობილების სქემა აღ-ნიშნულია დანართში № 1.

მაზრის მილიციის შტაბის მოწყობა.

16. მაზრის მილიციის მართველობას წარმო-ადგენს მისი შტაბი ცალკე ათასეულის შტაბის უფლებებით. თუ მაზრის მილიციის მართველობა

საქმისა

იმყოფება ქალაქში (ქ. თფილისის გამონაკლისით), სადაც ცალკე ქაოქის მილიცია არსებობს, მაშინ უერთდება მაზრის მილიციის მართველობას და ეწოდება: „სამაზრო-საქალაქო მილიციის შტაბი“.

მაზრის მილიციის სათავეში სდგას მაზრის მილიციის უფროსი, რომელსაც ევალება საერთო ხელმძღვანელობა მილიციისა მაზრის საზღვართა შორის.

მილიციის უფროსი სამაზრო რეკომის მართველობის განყოფილების კოლეგიის წევრად ითვლება. მისი უფროსი თანაშემწე მაზრის მილიციის შტაბის უფროსია.

17. სამაზრო-საქალაქო მილიციის შტაბის მოვალეობას შეადგენს:

- ა) რაიონების მილიციის შტაბის მოწყობა,
- ბ) მთელის მაზრის მილიციის მოქმედების ხელმძღვანელობა,
- გ) მილიციისათვის ბრძანებათა და განკარგულებათა გამოცემა,
- დ) სამხედრო გაწირვის საქმი და ამ შეიარაღებულ ძალის გაერთიანება სამხედრო მოქმედებისათვის,
- ე) წეს-რიგის შემოღება და განხორციელება დისციპლინის განსამტკიცებლად.
- ვ) მთელს მაზრაში სარეგულიაციო წესის დაცვა.
- ზ) სისხლის სამართლის გათვალისწინებულ დანაშაულობასთან ბრძოლა,
- ჰ) პარტიულ ძალისა და კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციათა მაგ. კლუბებისა, სამკითხველოებისა და სხვ. საინფორმაციო აღრიცხვა.
- თ) მაზრის მილიციის მეურნეობის წარმოება და მისი კონტროლი,
- ი) სარაიონო შტაბებისათვის ინსტრუქციების შედგენა და რევიზია,
- კ) მაზრის მილიციის მოქმედების შესახებ დრო-გამოშვებით ანგარიშების წარდგენა,
- ლ) ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა და
- მ) რაიონის მილიციაზედ შეტანილ საჩივრების განხილვა.

18. ყველა შემთხვევაში უნდა საქმის შესრულება ეკისრება სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსის უმცროსი თანაშემწეებს, რომელთა მოქმედებას აერთიანებს მაზრის მილიციის შტაბის უფროსი (უფროსი თანაშემწე).

სამაზრო-საქალაქო მილიციის შტაბის სამუშაოს განაწილება.

19. სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსია პასუხისმგებელი მაზრის მთელის მილიციის მოქმედებისა, იგი უწყვეს ხელმძღვანელობას შტაბის მუშაობას, თავისი უშუალო თანაშემწის შტაბის უფროსის შემწეობით აწესრიგებს და ჰმართავს შტაბის განყოფილებათა მოქმედებას მე-17 §-ში მოხსენებულ საქმიანობის განსახორციელებლად, მოგზაურობს მაზრაში და ადგილობრივ შტაბებს პირადად აძლევს სახელმძღვანელო რჩევა-დარიგებას, თვალყურს ადევნებს და იძულებულ ჰყოფს, რომ

ყოველი დეკრეტი, ბრძანება და განკარგულება როგორც ცენტრალ, ისე ადგილობრივ მთავრობისა უკლებლად და დაუბრუნებლად იქმნას შესრულებული.

20. შტაბის უფროსი (უფროსი თანაშემწე) ითვლება სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსის ყოველ განკარგულებისა და დავალების ამსრულებლად, იგი აერთიანებს მილიციის უფროსის ყველა თანაშემწეთა მოქმედებას; სწყვეტს საკითხებს, რომელსაც არ ესაჭიროება მილიციის უფროსის დასტური, სწერს ყოველგვარ ბრძანებას მილიციის მიმართ და ყოველთვის საჭიროებისამებრ სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსის მოადგილეობა სეწევს.

21. საგარეო და სამოქმედო ნაწილის უფროსი განაგებს მაზრის საგარეო დაცვას, სწირთნის მილიციისა და რაზმის შედგენილობას სამწყობრო მოქმედებისათვის, აწესრიგებს და ყოველ დონისძიებასა ჰხმარობს დისციპლინის განმტკიცებისათვის, აწარმოებს მილიციელთა გადაჯგუფების საქმეს თავდაცვის განყოფილებაში, აგროვებს სამოქმედო თვისების ცნობებს, რომელიც მოდის რაიონებიდან, და ადგენს მაზრაში საოპერაციო ცნობათა კრებულს. მკრებს საიდუმლო თვისების ცნობებს შეთქმულებისა, აჯანყებისა, მკახოჯობათა სულიერ განწყობილებისა და სხვათა შესახებ; თვალყურს ადევნებს, რომ თავის დროზე იყოს წარმოადგენილი ადგილებიდან საოპერაციო ცნობები; ყოველდღიურ მოხსენებასა სწირს მაზრაში მომხდარ ამბების შესახებ.

22. საერთო-სადამინისტრაციო ნაწილის თანაშემწე ჰხელმძღვანელობს სათანადო საქმის წარმოების შემწეობით სამოქალაქო თვისების ყოველგვარ მიწერ-მოწერას, განაგებს სამწყობრო და უმწყობრო განყოფილებათა პირდაპირ შედგენილობას, მილიციის სამხედრო ერთეულების, წითელ და ძველ ჯარის ყოფილ ოფიცრებისა და რაზმის შედგენილობის აღრიცხვას, ოცეულის უფროსის გამოუკლებლივ და აგრეთვე ყველა იმ დახელოვნებულ მუშათა და წითელ არმიელთა აღრიცხვას, რომელნიც მილიციაში ჰმსახურებენ.

23. სამეურნეო ნაწილის გამგე თანაშემწე აწარმოებს მაზრის მთელ მილიციისათვის სურსათ-სანოღავისა და ტანსაცმელის მიღებისა და განაწილების საქმეს და აგრეთვე თოფ-იარაღისა, ტანისამოსისა და საერთოდ მთელის სამეურნეო ქონების აღრიცხვას მთელს მაზრასა და ქალაქში.

24. მაზრის მილიციის უფროსთან, იქ სადაც არის საგანგებო კომისიის განყოფილება, არსდება პოლიტიკური ბიურო, რომლის ტენიკურ მუშაობას განსაკუთრებული თანაშემწე აწარმოებს.

სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსისა და მაზრის რეკომის მართველობის განყოფილების გამგეს საურთიერო დამოკიდებულება.

25. სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსი ადგილობრივი რეკომის მართველობის განყოფილებათა გამგესთან საურთიერთო დამოკიდებულების დროს ხელმძღვანელობს ამ დებულების მე-12-§-ით.

26. რაიონის შტაბების მილიციის რაზმის წევრთა და მილიციონერების გადაყვანას აწარმოებს დამოუკიდებლად მაზრისა და ქალაქის მილიციის უფროსი, ხოლო საოპერაციო მიზნით გამოწვეული გადაჯგუფება უნდა სწარმოებდეს სათანადო სამაზრო რეკომენდების მართველობის განყოფილების გამგესთან შეთანხმებით.

მაზრის მილიციის შედგენილების ხამსახურში მიღების წესი.

27. ყოველ მაზრისა და ქალაქის მილიციის უფროსი ინიშნება ხამსახურში ადგილობრივი რეკომის მიერ და უნდა დამოუკიდებლად იქნეს მილიციის მთავარ სამართავლოს უფროსის მიერ.

28. მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწე ინიშნება ხამსახურში მთავარ მილიციის უფროსის მიერ მაზრის მილიციის უფროსის წარდგინით.

შენიშვნა: სამაზრო და საქალაქო მილიციის შტაბის მოწყობის საქმე იხ. დამატებაში № 2.

რაიონის მილიციის მოწყობილობა და სამუშაოს დანაწილება.

29. რაიონის შტაბის სათავეში სდგას რაიონის მილიციის უფროსი, რომელიც ჰხელმძღვანელობს რაიონის მილიციის ყოველგვარ მოქმედებას, აღმსრულებელია როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივ მთავრობის ყველა დეკრეტისა, ბრძანებისა და განკარგულებისა და თვალყურს ადევნებს თუ იძლევიან თუ არა, რომ ეს ბრძანებანი სისრულეში იყოს მოყვანილი და აგრეთვე თვალყურს ადევნებს რაიონში წესიერებისა და მშვიდობიანობის დაცვის საქმეს და ყველა არა კეთილ-საიმედო რღვემირტს.

რაიონის მილიციის უფროსი არის უმახლობელესი და უშუალო ხელმძღვანელი უფროს და უმაზროს მილიციონერების მოქმედებისა და პასუხისმგებელია ამ მილიციონერთა პოლიტიკურ გაწვრთნისა და სამწყობრო ვარჯიშობისა.

30. რაიონის მილიციის სამმართველოს საგარეო ნაწილის გამე თანაშემწე თავის მოქმედების დროს ხელმძღვანელობს ამ დებულების მე 21 §-ით.

31. მილიციის უფროსის თანაშემწე სამმართველოს საერთო-საადმინისტრაციო ნაწილში აწარმოებს რაიონის ყველა მიწერ-მწერას, ადგენს საჭირო ცნობებს, თვალყურს ადევნებს შინაგან წესიერებას, განაგებს რაიონის მეურნეობას და უფროსის არ ყოფნის დროს იმის მოადგილეობას ეწევა.

რაიონის მილიციის უფროსების დანიშვნის წესი და იმათი დამოუკიდებულება ადგილობრივ რეკომებთან.

32. რაიონის მილიციის უფროსს ინიშნავენ და ამტკიცებს მაზრის მილიციის უფროსი, როლის დაუკითხავად რაიონის უფროსის არც გადაყვანა და არც დათხოვნა არ შეიძლება, იმ შემთხვევის გარდა თუ რაიმე დანაშაული არა აქვს ჩადენილი, რაც სათავეშივე უნდა იქნას აღმოფხვრილი.

33. რაიონის მილიციის უფროსს ინიშნავენ მაზრის მილიციის უფროსს ემორჩილებად და ინიშნავენ მხოლოდ რეკომენდების ყოველგვარ კანონიერ მოთხოვნის დანახარჯს უწევს.

34. თემებისა და სოფლების უფროსი მილიციონერები, სათანადო რაიონის მილიციის ხამსახურში ითვლებიან და რაიონის უფროსების ყოველს განკარგულებას და ამავე დროს სათანადო რეკომენდების ყველა კანონიერ მოთხოვნის დანახარჯს უწევს.

35. სამხედრო მოქმედების დროს რაიონის მილიციის მთელი რაზმი ემორჩილება იმ ათასეულისა და ასეულის განკარგულებას, რომელშიაც იგი ირიცხება.

1. **შენიშვნა:** სარაიონო მილიციის შტატი გამოცხადებულია დამატებაში № 3.

2. **შენიშვნა:** მილიციის უფროსები სათანადო რეკომენდების წევრად არ ითვლებიან.

36. ყველა ქალაქის მილიციის მართველობა, რომელიც იმყოფება ქალ. თბილისის გარეშე ყოველს შემთხვევაში სათანადო სახელწოდების მაზრის მილიციის სამმართველოს ემორჩილება.

შენიშვნა: ქალაქის მილიციის მართველობათა შტატები დარჩება იგივე, რაც დღემდის იყო, ხოლო თუ რაიმე ცვლილების შემოღება საჭიროა, ეს საკითხი მთავარ მილიციის უფროსმა უნდა წარადგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის განსახილველად.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვიციანი.

5 მაისი, 1921 წ. ქ. თბილისი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2.

სახალხო განათლების კომისარის საკულტურო-განმანათლებელი საქმეების შესახებ.

საბჭოთა საქართველოს მთელი საკულტურო-განმანათლებლო საქმე უნდა ექვემდებარებოდეს სახალხო განათლების კომისარიატს. ამიტომ, უკლებლივ ყველა არსებული საერთო და სპეციალური ხასიათის საკულტურო-განმანათლებლო ორგანიზაციები და განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკნი და მოღვაწენი, მოვალენი არიან დაუყოვნებლივ კავშირი დაიჭირონ და აღირიცხონ განათლებს კომისარიატის სათანადო ორგანიზაციებში, მასთან დაკავშირებულ მუშაობისათვის.

ყველა არ ექვნილი საკულტურო-განმანათლებლო დაწესებულება, უკლებლივ, დღიდან ბრძანების გამოქვეყნებისა. გადადიან სახალხო განათლების კომისარიატის განკარგულებაში.

ახალი ორგანიზაციების დაარსება და დაწესებულების გახსნა ამიერიდან შეიძლება მხოლოდ განათლების კომისარიატის ნებადართვით.

ყველა საკულტურო-განმანათლებლო მნიშვნელობის ნივთების, სამუსიკო და სხვა იარაღების და ხელსაწყოების რევიზიცია, კონფისკაცია და საერთოდ ჩამორთმევა, არ იქნება დაშვებული განათლების კომისარიატის ნებადართვით.



ყველა დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელიც ახდენდა ყოველივე ზემოაღნიშნულის აღწერასა და აღრიცხვას, მოვალენი არიან დაუყოვნებლივ წარადგინონ ყოველგვარი მასალა სახალხო განათლების კომისარიატში, რომელიც ამიერიდან თვითონ აწარმოებს აღწერასა და აღრიცხვას.

ამ ბრძანების დარღვევაში დაშინაშეწენი ან ვინც რაიმე მონაწილეობას მიიღებს ჩამოთვლილი ნივთების და ხელსაწყოების უკანონოდ ჩამორთმევაში, გატაცებაში, მითვისებაში ან აღიღებიდან გადატანაში — დაისჯებიან სარეგულირებელი კანონების სიმკაცრით.

განათლების კომისარი **ა. სვანიძე**,
კანცელარიის დირექტორი **ალ. მიქაბერიძე**,
მდივანი **დავ. დონდუა**.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 9.

განათლების სახალხო კომისარიატის სასწავლო კოლეჯი ა სამუსიკო ინსტრუმენტების შესახებ.

1. სასტიკად აღკრძალულია სამუსიკო ინსტრუმენტების გატანა ს. ს. საქართველოს რესპუბლიკიდან.

2. აღკრძალულია სამუსიკო ინსტრუმენტების (ფორტეპიანოს) გადატან-გაშობა ერთ სახლიდან მეორეში სამუსიკო ინსტრუმენტების დამცველ კომისარის ნებადაურთველად. (პეტრედიდის ქუჩა № 8).

3. აღკრძალულია სამუსიკო ინსტრუმენტების გაცვლა-გამოცვლა.

4. ამ ბრძანების დამრღვევს ჩამოერთმევა სამუსიკო ინსტრუმენტი.

5. სასტუმროებიდან, რესტორანებიდან და დაჯივებულ ბინებიდან, ყოველი მუსიკალური ინსტრუმენტი და ქონება გადატანილი იქნეს სარეგისტრაციო პუქტში (პეტრედიდის ქ. № 8) და სათანადოდ იქმნას აღწერილობითი აქტი.

6. ყველა ამ განკარგულების შესრულება ენდობა მუსიკალურ ინსტრუმენტთა და ქონების დამცველ კომისიის თავმჯდომარეს ამხანაგს **ილია აბაშიძეს**.

სახალხო განათლების კომისარიატის
სასწავლო კოლეჯის წევრი **ალ. წერეთელი**.
1921 წ. 21 მარტი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 10.

სახალხო განათლების კოლეჯისა ბიბლიოთეკა და წიგნთსაცავის შესახებ.

სახალხო განათლების კომისარიატის ნებადაურთველად ეკრძალება სახელმწიფო და კერძო ყველა ორგანიზაციას, საქართველოს რევკომის განსაკუთრებული დეკრეტის გამოცემამდე, ყოველგვარი რეკვიზიცია, კონფისკაცია, ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანა, გატაცება და მითვისება ნაწილობრივ, ან მთლიანად როგორც სახელმწიფო და საზოგადო, აგრეთვე კერძო ყოველგვარი ბიბლიოთეკებისა და წიგნთსაცავებისა.

უკეთეს აღნიშნული წიგნთსაცავები, ან ბიბლიოთეკები პატრონების მიერ მითვისებულია, იმ

შემთხვევაში დომკომები და მესტკანების დატოვებით ბუნლი არიან მიიღონ თავიანთ თავზე მასალის განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

ყველა ის პირი, რომელიც ამ განკარგულებას დაარღვევს, სასტიკად იქნება დასჯილი რეგულირებელი დროის კანონის ძალით.

თუ ეს ბრძანება ვინმესაგან დარღვეული იქმნება, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სახალხო განათლების კომისარიატის საბიბლიოთეკო განყოფილებას.

ბიბლიოთეკების და წიგნთსაცავების პატრონებს შეუძლიათ მიიღონ დაცვის მოწოდებები სახალხო განათლების კომისარიატში ყოველ დღე 12—2 საათამდე.

სახალხო განათლების კომისარიატის კოლეჯის წევრები: 1) **ნ. მგელაძე**, 2) **ალ. წერეთელი**.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 16.

განათლების საქმეთა სახალხო კომისარიატისა

ყველა კლუბი, როგორც არსებული ისე რომელიც საბჭოთა ძალა უფროების განმტკიცებამდე არსებობდენ, დღიდან ბრძანების გამოქვეყნებისა, გადადიან სახალხო განათლების კომისარიატის განკარგულებაში.

კლუბებს მთელი ქონება-ინვენტარი განათლების კომისარიატის მთავრობაშია.

ყველა სახეომწიფოებრივი, საზოგადოებრივი, პროფესიონალური და აგრეთვე კერძო და კომერციული კლუბები დაუყოვნებლივ უნდა აღირიცხოთ კომისარიატის საკლუბო სექციისაში და უნდა წარადგინონ ინვენტარის და საერთოდ მთელი ქონების დაწვრილებითი სია (სია უნდა იყოს 2 ეკზემპლარი) არსებული ინვენტარ-ქონებისა და ორი ეკზემპლარი საინვენტარო წიგნის მიხედვით შედგენილი; სიები დამტკიცებული უნდა იყოს სახლის ან ადგილობრივი კომიტეტების მიერ; აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოების და პასუხისმგებელ თანამშრომელთა ვინაობა.

კლუბებისა, ან მათი ქონება-ინვენტარის ვისმესთვის, ორგანიზაციებისათვის ან დაწესებულებებისათვის გადაეცემა სახალხო განათლების კომისარიატის საკლუბო სექციის ნებადაურთველად, სასტიკად აკრძალულია. ყოველივე, რაც კი გატანილია კლუბებიდან, საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადების დღიდან, დაუყოვნებლივ დაბრუნებული უნდა იქმნას.

ყველა დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელიც ახდენდენ კლუბების და მათი ქონება-ინვენტარის აღრიცხვას და აღწერას მოვალენი არიან დაუყოვნებლივ გადასცენ მთელი სარეგისტრაციო მასალა სახალხო განათლების კომისარიატის საკლუბო სექციას, რომელიც განაგრძობს რეგისტრაციას.

ამ ბრძანების დამრღვევი დაისჯებიან რეგულირებელი კანონების მთელი სიმკაცრით.

განათლების საქმეთა სახალხო კომისარი **ა. სვანიძე**,
საქმეთაგამგე **ალ. მიქაბერიძე**.

ქართული
ენისწილობა

შინაარსი

მე IV-ე №-ში მოთავსებულ მასალებსა

- 1) დებულება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.
- 2) ცირკულიარი შინ. საქ. სახ. კომისარიატისა.
- 3) ცირკულიარი შინ. საქ. სახ. კომისარიატისა.
- 4) დადგენილება № 9 ღვინის ვაჭრობის შესახებ.
- 5) " № 10 ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა მოსამსახურეების სამხედრო მობილიზაციისაგან განთავისუფლების შესახებ.
- 6) " № 11 მიწის მზომლობა მობილიზაციის შესახებ.
- 7) " № 12 სასოფლო-მეურნეობის დარგის სპეციალისტთა და ტექნიკოსების მობილიზაციის შესახებ.
- 8) " № 13 დამნაშავე პირთა განთავისუფლებისათვის საწინდარის მიღების გაუქმების შესახებ.
- 9) " № 14 კოოპერაციის შესახებ.
- 10) დებულება კოოპერაციის საქმეთა სამმართველოსა.
- 11) ბრძანება № 37 ავტომობილების წესდარდ შესწავლის შესახებ.
- 12) " № 38 სახელწიფო ხაზინებსა და საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურეთაგან მათთვის გადაცემულ ფასიან ქაღალდების სახელმწიფო ბანკისათვის ჩაბარების შესახებ.
- 13) " № 39 საქ. რევ. ტრიბუნალის წევრების დანიშნვის შესახებ.
- 14) " № 40 სამიწათმშობლო ტახნიკის სპეციალისტების რეგისტრაციის შესახებ.
- 15) " № 41 ტყეების წესდარდ საზღვროლობისა და მათი დაცვის შესახებ.
- 16) " № 42 ამხ. ორბილაშვილის სახელობის განათლ. კომისარად დანიშნვის შესახებ.
- 17) " № 43 დიუნტაუს განთავისუფლების შესახებ.
- 18) " № 44 ამხ. სერნიძის გარეშე საქმ. კომისარად დანიშნვის შესახებ.
- 19) " № 45 ბინებში ჩასახლებისა და ჩამორთმევის ყარლა განაზღვრებათა დროებით შეჩერების შესახებ.
- 20) " № 46 ბეზსმერტნის დანიშნვის შესახებ.
- 21) ცირკულიარები მიწად-მოქმედების კომისარიატისა მიწების შესახებ.
არა ოფიციალური განყოფილება.
- 22) წერილი საქართველოში საბჭოთა ძალადობის დამყარებისა და რუსეთის საბჭოთა სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შესახებ.

სარედაქციო კოლეგია.